საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის

ბრძანება №01
2012 წლის 27 დეკემბერი

ქ. თბილისი

„საქართველოს პატენტრწმუნებულთა შესახებ დებულების“ დამტკიცების თაობაზე“ სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის საქპატენტის თავმჯდომარის 2011 წლის 12 იანვრის №1 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„საქართველოს პატენტრწმუნებულთა შესახებ დებულების“ დამტკიცების თაობაზე“ სსიპ - საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის საქპატენტის თავმჯდომარის 2011 წლის 12 იანვრის №1 ბრძანებაში (140111, 14/01/2011) და ამავე ბრძანებით დამტკიცებულ „საქართველოს პატენტრწმუნებულთა შესახებ“ დებულებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. ბრძანების მე-2 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. „საქართველოს პატენტრწმუნებულთა შესახებ დებულების თაობაზე“ საქართველოს პრეზიდენტის 2002 წლის 8 მაისის №223 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულების საფუძველზე რეგისტრირებულმა პატენტრწმუნებულებმა გაიარონ ატესტაცია „საქართველოს პატენტრწმუნებულთა შესახებ“ დებულებით დადგენილი წესით 2015 წლის 1 იანვრამდე.“.

2. დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. პატენტრწმუნებულთა ატესტაცია ტარდება წელიწადში ერთხელ მაინც“.

მუხლი 2

ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

სსიპ ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – „საქპატენტის“ თავმჯდომარე **ირაკლი ღვალაძე**